საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/02

ქ. ბათუმი 25 იანვარი, 2023 წ.

ბსუ-ს პროფესორ კახაბერ ქაშიბაძის ატესტაციის შედეგის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,g^1“ პუნქტის, 21-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-4^1 პუნქტის, 37^2-ე მუხლის მე-5^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, 58-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 62^5-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის“, ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის ატესტაციის წესის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21 ოქტომბრის №06-01/110 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესორის ატესტაციის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის №06-01/140 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესორის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის №06-01/146 დადგენილებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის (№2, 13.01.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის №06-01/140 დადგენილებით გამოცხადებული ბსუ-ს პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ არჩეული პროფესორის ატესტაციის შედეგი, რომლის თანახმად ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის მიმართულებით პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ არჩეული კახაბერ ქაშიბაძე (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 6 სექტემბრის №73 დადგენილებით დამტკიცებული **2016 წლის**

სექტემბერში ჩატარებული ღია კონკურსის შედეგები), შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს უვადოდ არჩეული პროფესორის თანამდებობისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,კონკურსები“ და ,,აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).

3. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და მის სამსახურებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, პროფესორ კახაბერ ქაშიბაძეს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**